გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

13-20 ნოემბერი

GRASS
REFORMANDA

- „ქართული ოცნების“ თქმით, ისინი წასვლას არ აპირებენ, ამბობენ, რომ ოპოზიცია საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას აფერხებს;
- გამოცემასთან Le Monde სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუს შემდეგ, პრეზიდენტის მიმართ მმართველი პარტიის კრიტიკა გაიზარდა;
- ანტიევროპული ნარატივების თანახმად, საქართველო იდენტობას, სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას ევროინტეგრაციის გამო დაკარგავს, კვლავ ვრცელდება კონსპირაცია, თუ როგორ გეგმავს დასავლეთი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას;
- პრორუსული წყაროები რუსეთის აგრესიას უგულებელყოფენ და მოსკოვთან „მეზობლური ურთიერთობების“ დამყარებას მოითხოვენ;
- „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუს შემდეგ, აშშ-ს ელჩი, რობინ დანიგენი, პროპაგანდის სამიზნე გახდა.

„ქართული ოცნების“ თქმით, ისინი წასვლას არ აპირებენ, ამბობენ, რომ ოპოზიცია საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას აფერხებს

გასულ კვირას საზოგადოებრივი აზრის ორი სხვადასხვა კვლევა გამოქვეყნდა: „გორბიმ" ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით, შედეგები 14 ნოემბერს გამოაცხადა, ხოლო „საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა“ (IRI) – 15 ნოემბერს. განსხვავება ორ ზემოაღნიშნულ გამოკითხვას შორის შესამჩნევია.

კითხვაზე, თუ რომელ პარტიას მისცემდა გამოკითხული ხმას, არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, პასუხები შემდეგნაირად გამოიყურება:

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)	გორბი
„ქართული ოცნება“ – 25%	„ქართული ოცნება” - 55%
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ –	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ / „სტრატეგია აღმაშენებელი“ – 20%
„სტრატეგია აღმაშენებელი“ – 3%	„ლელო“ – 4%
ბათილი ბიულეტენი - 11%	„ევროპული საქართველო“ – 3%
არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა	„საქართველოსთვის“ – 3%
არ იცის - 18%	„პატრიოტთა ალიანსი“ – 2%
უარი პასუხზე - 8%	სხვა - 9%

- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე, „გორბის“ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული ამჟამინდელ ვითარებას ზუსტად ასახავს. ოპოზიცია სუსტდება და მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეძლებს 5%-იანი ბარიერის გადალახვასა და პარლამენტში მანდატების მიღებას; ხოლო სხვა პარტიები არა - პოლიტიკური პარტიები, არამედ პოლიტიკური კლუბები არიან. კობახიძემ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ „გორბის“ შედეგები გამოცხადდა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებამდე, მიენიჭებინა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი; აქედან გამომდინარე, ის ვარაუდობს, რომ აღნიშნული მოვლენა კიდევ უფრო გაზრდიდა მმართველი პარტიის რეიტინგს და შეამცირებდა ოპოზიციის მხარდაჭერას. ოპოზიცია იმედებს რევოლუციაზე ამყარებდა, რომელსაც მას შემდეგ წამოიწყებდა, რაც საქართველო ვერ მიიღებდა კანდიდატის სტატუსს. ქართველ ხალხს არა „ენმ“ – „ომის პარტია“, არამედ მშვიდობა და სტაბილურობა სურს. კობახიძის თქმით, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო მანდატები გაიზრდება და შესაძლოა, 100-საც მიაღწიოს 2024 წელს.

- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებზე საუბრისას, კობახიძემ IRI შეცდომებშიც დაადანაშაულა. მმართველი პარტიის თავმჯდომარის თქმით, IRI შეცდომებს ბოლო 12 წლის განმავლობაში უშვებს, შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ შედეგები ახლაც შეშლოდათ. IRI-სა და NDI-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებსა და არჩევნების ოფიციალურ შედეგებს შორის სხვაობებიდან გამომდინარე, კობახიძემ განაცხადა, რომ მათი კვლევის შედეგები მცდარია. „გაიხსენეთ, წარსულში ვინ ატყუებდა და ვინ - არა, ქართულ საზოგადოებას. თავის თავს აღარ ენდობიან ეს ორგანიზაციები, იმდენჯერ ააცილეს საკუთარი პროგნოზი არჩევნების შედეგებს“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

- „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ 2024 წელს კოალიციური მმართველობა არ იქნება. საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე საუბრისას, კალაძე ირწმუნებოდა, რომ რაც არ უნდა აკეთოს მტერმა, ყალბი გამოკითხვებისა და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ჩათვლით, „ქართული ოცნება“ 2024 წელს კონსტიტუციურ უმრავლესობას მიაღწევს. „ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ!“ - განაცხადა მერმა. ასევე, თბილისის მერმა ისაუბრა მმართველი პარტიის გადაწყვეტილებაზეც, არ შეემცირებინა საპარლამენტო ბარიერი 5%-დან 2%-მდე, მიუხედავად აღნიშნული დათქმისა. კალაძის თქმით, ოპოზიცია პოლიტიკაში არც უნდა იყოს, თუ 5%-იანი ბარიერის გადალახვას ვერ შეძლებს.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ზარქუაც გამოეხმაურა „გორბის“ საზოგადოებრივი აზრის კვლევას და განაცხადა, რომ საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებამ ოპოზიციას „ცელი გამოუსვა“ და გააკოტრა. მისი თქმით, მმართველ პარტიას ევროკომისიის გადაწყვეტილებამდეც ჰქონდა

55%-იანი მხარდაჭერა და იგივე გამოკითხვა დღეს რომ ტარდებოდეს, „ქართული ოცნების“ რეიტინგი, სავარაუდოდ, 60% იქნებოდა. „დიდი უმრავლესობით მოვალთ 2024 წლის არჩევნებზე და არანაირი კოალიცია არ იქნება. ამის საფუძველი არ არის, თუმცა, ამას წყვეტს საზოგადოება“, - განაცხადა ზარქუამ.

გრძელდება კამპანია, რომლის თანახმადაც ოპოზიცია კანდიდატის სტატუსის მიღებას გამიზნულად აფერხებდა

- ირაკლი კობახიძის შეფასებით, ყალბია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ოპოზიცია საქართველოს ევროინტეგრაციისკენ გზაზე ახორციელებს. ოპოზიციამ ყველაფერი მოიმოქმედა, რათა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესი შეეფერხებინა. კანდიდატის სტატუსის საკითხი, რომელსაც ქვეყანა უნდა გაეერთიანებინა, ოპოზიციამ პოლარიზაციის გასაღვივებლად გამოიყენა, დეზინფორმაციული კამპანიები განახორციელა და 2022 წლის ივნისში რევოლუციის წამოწყების მცდელობა ჰქონდა. ოპოზიცია ნოემბერ-დეკემბერში რევოლუციის დაწყებაზეც ამყარებდა გეგმებს, თუმცა ევროსაბჭოსთვის ევროკომისიის რეკომენდაციამ აღნიშნულს ხელი შეუშალა. კობახიძის თქმით, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას ცდილობდა და ავრცელებდა ტყუილს, თუ როგორ მიიღებდა საქართველო მილიარდობით დაფინანსებას ევროკავშირისგან, თუმცა ევროკომისიის რეკომენდაციის შემდეგ, კანდიდატის სტატუსს ნაკლებმნიშვნელოვნად წარმოაჩენენ.

- კახა კალაძის განცხადებით, „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს საქართველოს ევროპასთან დასაახლოებლად. აგრეთვე, მან განმარტა, რომ საქართველოს ყველაზე დიდი მტერი ქვეყნის შიდა მტერია, ანუ ოპოზიცია. ჟურნალისტის კითხვაზე, ოპოზიცია რუსეთზე დიდი მტერიც არის თუ არა, კალაძემ ზემოაღნიშნული გაიმეორა. მისი თქმით, გარე მტერთან გამკლავება შესაძლებელია, რათა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოახერხონ; თუმცა იმაზე უარესი არაფერია, როდესაც ქვეყნის წარმომადგენლები აკეთებენ ყველაფერს, რათა ქვეყანას, მის მომავალსა და ახალგაზრდებს ხელი შეუშალონ ევროინტეგრაციის პროცესში.

გამოცემასთან Le Monde სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუს შემდეგ, პრეზიდენტის მიმართ მმართველი პარტიის კრიტიკა გაიზარდა

15 ნოემბერს ფრანგულმა გამოცემამ Le Monde პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან ინტერვიუ გამოაქვეყნა. ინტერვიუში სალომე ზურაბიშვილმა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქი უწოდა: „ცხადია, რომ მას დომინანტური

გავლენა აქვს მმართველებზე. დღეს ქართულ პოლიტიკაში, ივანიშვილის გარდა, სხვა ოლიგარქი არ არის“. კითხვაზე, ითამაშა, თუ არა, ივანიშვილმა დადებითი როლი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში, ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მან ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზურაბიშვილის, როგორც პროევროპული პრეზიდენტის, კანდიდატად წარდგენაში. მიუხედავად ამისა, ივანიშვილმა, საბოლოოდ, მაინც უარყოფითი როლი ითამაშა, რადგან, მმართველ პარტიაზე მისი გავლენიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სწორედ ის შთააგონებდა „ქართული ოცნების“ ლიდერებს ცუდი გადაწყვეტილებების მიღებისკენ, როგორიც იყო პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის დაწყება.
ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შეწყალების გეგმებზე საუბრისას, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილი უკეთაა და სამედიცინო კლინიკაში იმყოფება. სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ სააკაშვილი უცხოეთში წასვლის ნაცვლად, საარჩევნო კამპანიაში ჩართვას აპირებს. „სხვა კომენტარი არ მაქვს“, - განაცხადა პრეზიდენტმა.
20 ნოემბერს, სასამართლო სხდომაზე, სააკაშვილმა ზურაბიშვილის ინტერვიუ Le Monde-სთან დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტს ერთი ხელის მოწერით შეუძლია შვილებს მამა დაუბრუნოს და, რაც მთავარია, აღადგინოს პოლიტიკური ბალანსი საქართველოში.
მორიგი საკითხი, რომელზეც სალომე ზურაბიშვილმა ისაუბრა ინტერვიუში, 2008 წლის ომი იყო. ჟურნალისტმა გაიხსენა, რომ 2009 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ზურაბიშვილი წერდა, რომ 2008 წლის ომის დაწყებაში „ორმაგი პასუხისმგებლობა ჰქონდათ მოსკოვსა და თბილისს“, ასევე „ვერსია, რომლის თანახმადაც საქართველომ მხოლოდ უპასუხა რუსეთის აგრესიას... ფაქტებით არ მყარდება“. როდესაც პრეზიდენტს ჰკითხეს, კვლავ იგივე მოსაზრებები ჰქონდა, თუ არა, მან განმარტა, რომ „არასოდეს გაუჟღერებია მსგავსი მოსაზრებები“, რადგან ყოველთვის რუსეთი ესხმოდა თავს და ახდენდა საქართველოს ანექსირებას საუკუნეების განმავლობაში.

- სააკაშვილის განცხადებაზე საუბრისას, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ბევრი მამა ვერ დაუბრუნდა შვილებს სწორედ სააკაშვილის გამო. მისი შეფასებით, მორალსა და მიხეილ სააკაშვილზე ერთდროულად არ შეიძლება საუბარი. ხოლო სალომე ზურაბიშვილთან დაკავშიერბით, კობახიძემ განაცხადა, რომ მას შეუძლია შეწყალების გადაწყვეტილების მიღება, თუ სურს, გახდეს სააკაშვილის ამორალურობის თანაზიარი. ამასთანავე, კობახიძის შეფასებით, „ვარდების რევოლუციამ“ ქვეყანას ადამიანის უფლებების ტოტალური ხელყოფა, წამება, ბიზნესის რეკეტი, ტელევიზიების მიტაცება, არჩევნების გაყალბება და ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის რუსეთისთვის გადაცემა მოუტანა.

- „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ცხრა წლის განმავლობაში ახდენდნენ რეპრესიებს ქართველ ხალხზე და ქვეყანას აზიანებდნენ. მან ასევე განმარტა, რომ სააკაშვილი და „ენმ“ არ შეცვლილან და ბოდიში არ მოუხდიათ დანაშაულის გამო; აღნიშნულის ნაცვლად, ისინი კვლავ

იყენებენ სიძულვილის ენას, ბულინგს, პოლარიზაციასა და ტერორს, რათა ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. კალაძის თქმით, ზურაბიშვილი ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებზე პასუხისმგებლობის გამზიარებელი იქნება, თუ სააკაშვილის შეწყალებას გადაწყვეტს.

- პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ანრი ოხანაშვილის შეფასებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სალომე ზურაბიშვილის ადრე თუ მოღალატედ და აგენტად აცხადებდა, ახლა ლიდერად აქციეს. „ქართული ოცნების“ დეპუტატი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ ზურაბიშვილი „ენმ-ს“ ფორმალური თავმჯდომარეც გახდეს.

- „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილმა განსაკუთრებული როლი ითამაშა ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაში, თუმცა ახლა სალომე ზურაბიშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მესიჯბოქსში ჩაერთო, რომლის თანახმადაც, ივანიშვილი ოლიგარქია. მდინარაძის თქმით, სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეები რომ არა, შესაძლოა, ზურაბიშვილს უკვე შეწყალებული ჰყოლოდა ის. შეუძლებელია პრეზიდენტის ქმედებების წინასწარ განსაზღვრა, თუმცა თუ ექს-პრეზიდენტის შეწყალებას გადაწყვეტს, ზურაბიშვილი „ენმ-ს“ დანაშაულის თანამონაწილე გახდება, რომელთა შორისაცაა ახალგაზრდების დახოცვა ქუჩებში, გაუპატიურება, წამება, უფლებების შელახვა, ტელევიზიების მიტაცება, ბიზნესის რეკეტი და ა.შ.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ თუ სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქს ეძახის, უნდა გადადგეს, რადგან სწორედ ივანიშვილისა და მისი გუნდის წყალობით გახდა პრეზიდენტი. ზარქუას შეფასებით, ის ივანიშვილმა წარადგინა კანდიდატად, ხოლო შემდეგ „ქართული ოცნების“ წევრებმა აირჩიეს და მხარი დაუჭირეს, ამასთანავე, ბანერებზე თვითონ იყვნენ გამოკრულნი, ზურაბიშვილის ნაცვლად. „და ახლა ოლიგარქს ეძახის?!“ - ამბობს ზარქუა.

- მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადების თანახმად, რაც არ უნდა გააკეთოს სალომე ზურაბიშვილმა, ის ვერ გახდება საარჩევნოდ ღირებული პოლიტიკური ფიგურა. აქედან გამომდინარე, მისი არაკონსტიტუციური უცხოური ვიზიტები მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება - ზურაბიშვილის უცხოელ უფროსებს სურთ, ქართველ ხალხს შეახსენონ, რომ ისინი არ აღიარებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და კონსტიტუციას. განცხადების თანახმად, პრეზიდენტისა და ევროკომისიის შუამავლობით მიღებული 19 აპრილის შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციის უზენაესობის არცნობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი იყო, რადგან





მოითხოვდა რიგგარეშე არჩევნებს, თუ „ქართული ოცნება“ 43%-იან ბარიერს ვერ გადალახავდა 2021 წელს; მოითხოვდა საარჩევნო ბარიერის 2%-მდე დაწევას, რათა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის შეეწყო ხელი; მოუწოდებდა კრიმინალების ციხიდან გათავისუფლებისკენ. განცხადება, ასევე, ირწმუნება, რომ ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინ პინზე უარყოფითი განცხადება ზურაბიშვილს პატრონებმა გააკეთებინეს, რათა დაეზიანებინა საქართველოს სტრატეგიული ინტერესი, გააღრმავოს პარტნიორობა ჩინეთთან.

ანტიევროპული ნარატივების თანახმად, საქართველო იდენტობას, სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას ევროინტეგრაციის გამო დაკარგავს, კვლავ ვრცელდება კონსპირაცია, თუ როგორ გეგმავს დასავლეთი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას

- „ალტ-ინფოს“ ეთერში პროპაგანდისტი ევროკავშირის დათქმებს გამოეხმაურა, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ საქართველო ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციას, უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებსა და უცხოურ ჩარევას უნდა ებრძოლოს, აგრეთვე, უზრუნველყოს ძალადობის მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძება და ძალადობის ორგანიზატორები და დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს. პროპაგანდისტის თქმით, ევროკავშირი მოითხოვს ნებისმიერი საწინააღმდეგო მოსაზრების დასჯას - მათ შორის ანტი-ლგბტქ+ რიტორიკის, რაც ქართული იდენტობის გამანადგურებელია.

- ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანი და პრორუსულად განწყობილი ნიკოლოზ მჟავანაძე აგრეთვე ირწმუნებოდა, რომ ევროკავშირის პრიორიტეტები სიძულვილის ენის დასჯას გულისხმობს, ანუ, შედეგად, ჰომოსექსუალობის კრიტიკის ნებისმიერი ფორმა აკრძალული იქნება.

- ტელეკომპანია „სეზონის“ ხშირი სტუმრის, დიტო ჩუბინიძის შეფასებით, საქართველო კოლონიური სახელმწიფოა და სუვერენიტეტი არ აქვს. ის ამბობდა, რომ საერთაშორისო კანონის გათვალისწინებით, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არ აქვს იმაზე მეტი უფლება, რაც „საბჭოთა კავშირისა“ და რუსეთის იმპერიის დროს ჰქონდა. პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი მხოლოდ იმ პირობით გახდება, თუ ლგბტქი+ ღირსების მარშს გამართავს, რაც საშიშროებაა ქართული ეკლესიისთვის, დამოუკიდებლობისთვის, იდენტობისა და ტრადიციებისთვის.

- მორიგი პროპაგანდისტი „ალტ-ინფოზე“ ამბობდა, რომ ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია სწორედ იმის გამო გასცა, რომ, „ანტიმაიდნის მოძრაობის“ მიერ ხალხის მობილიზების შემდეგ, „მაიდნის რევოლუციის“ მსგავსი სცენარის გამეორების გეგმები სარისკო გახდა. პროპაგანდისტი განმარტავს, რომ ევროკავშირის გეგმები, საქართველოში რევოლუცია წამოიწყოს და მეორე ფრონტი გახსნას, არ შეცვლილა. თუმცა აღნიშნული მიზნის „მაიდნის

რევოლუციით“ განხორციელების ნაცვლად, ევროკავშირი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საშუალებით ეცდება საქართველოზე კონტროლის მოპოვებას.

- იგივე პროპაგანდისტის თქმით, მიუხედავად დასავლეთის განცხადებისა, მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, რეალურ ვითარებებში დასავლეთის ქვეყნები მიუთითებენ, რომ საქართველომ ევროინტეგრაციის პროცესში ოკუპირებული ტერიტორიები უნდა დათმოს.
- მორიგი პროპაგანდისტი „ალტ-ინფოს“ ეთერში ამბობდა, რომ „ანტიმაიდნის მოძრაობამ“ ხელი შეუშალა „მაიდნის რევოლუციის“ გამეორებასა და, შესაბამისად, რუსეთთან ომს. მან აღნიშნა, რომ ევროპას რუსეთის დასუსტება აღმოსავლეთში გავლენის მოსაპოვებლად სურს; სწორედ ამიტომ მოუწოდა უკრაინელებს, ჩაედინათ თვითმკვლელობა რუსეთთან ომში ჩაბმით. მისი თქმით, ევროპა საქართველოში მსგავსი ქმედების განხორციელებას გეგმავს.
- პროპაგანდისტული წყაროს თანახმად, ევროკავშირს არ სურს, ქართველი ხალხი და ეკონომიკა განვითარდეს, რადგან დასუსტებული საქართველო სამართავად უფრო მარტივია.

პრორუსული წყაროები რუსეთის აგრესიას უგულებელყოფენ და მოსკოვთან „მეზობლური ურთიერთობების“ დამყარებას მოითხოვენ

- ნიკოლოზ მჟავანაძე კვლავ აჟღერებდა მოწოდებებს რუსეთთან მოლაპარაკებების დამყარების შესახებ, რათა დასტაბილურდეს ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის. პროპაგანდისტი ოკუპაციას, საზღვრის უკანონო გადაწევასა და ოკუპანტი ძალების მიერ შექმნილ დაბრკოლებებს პრობლემებად აღიქვამს, თუმცა მიაჩნია, რომ მათი გადაჭრა მხოლოდ მოლაპარაკებებით იქნება შესაძლებელი. ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანის თქმით, პრორუსულად განწყობილი მოსახლეობაც ანტირუსული გახდება, თუ რუსეთთან მოლაპარაკებები ჩაიშლება, რაც ნაკლებსავარაუდოა, რადგან რუსეთს დადებითი მეზობლური ურთიერთობების დამყარება სურს.
- მორიგ განცხადებაში, მჟავანაძემ დასავლეთი დააკნინა და რუსეთი შეაქო - აღნიშნა, რომ მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის ქუჩები გაცილებით უფრო სუფთაა, ვიდრე ნიუ-იორკი და პარიზი, რომლებიც ნაგვითა და არალეგალური იმიგრანტებითაა სავსე. აღნიშნული ნარატივით პროპაგანდისტი მიუთითებდა, რომ რუსეთი გაცილებით უფრო უსაფრთხო და წარმატებულია, ვიდრე დასავლური ქვეყნები.





- დიტო ჩუბინიძე, მიუხედავად აღიარებისა, რომ რუსეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტერია, სწორედ აღნიშნულ ფაქტს იყენებდა რუსეთთან პირდაპირი საუბრებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოწოდებებში, რაც, მისი შეფასებით, საჭიროა მტრობის დასრულებისა და საქართველოს დეოკუპაციის პროცესებში. პროპაგანდისტის თქმით, დასავლეთის აგენტებსა და „საქართველოს კოლონიურ მთავრობას“ არ შეუძლიათ იმის გაკეთება, რაც საჭიროა.

- ცნობილმა სტალინისტმა და პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტმა, გრიშა ონიანმა სრულად უგულებელყო რუსეთის მიერ სუვერენული საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და განაცხადა, რომ რუსეთს საქართველოსთვის არაფერი წაურთმევია; ქვეყანამ მხოლოდ სარგებელი მოიტანა, რისთვისაც ქართველებს მადლიერება არასოდეს გამოუხატავთ.

- პროპუტინისტური სოციალური მედიის ანგარიშზე გამოქვეყნებული პოსტის თანახმად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ რუსეთი 1990-იან წლებში მიზანმიმართულად დაასუსტეს. როდესაც მთელ მსოფლიოს მიაჩნდა, რომ რუსეთი დიდებას ვეღარ დაიბრუნებდა, ვლადიმერ პუტინმა ქვეყანა ჭაობიდან ამოათრია და წარმატებულ სახელმწიფოდ აქცია. დასავლეთს პუტინი სწორედ იმიტომ სძულს, რომ მან გაანადგურა ლიბერალების 75-წლიანი გეგმა, მსოფლიოზე ერთპიროვნული მმართველობა დაემყარებინათ.

„რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუს შემდეგ, აშშ-ს ელჩი, რობინ დანიგენი, პროპაგანდის სამიზნე გახდა

- პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტმა და „ალტ-ინფოს“ ხშირმა სტუმარმა სოციალურ მედიაში გამოაქვეყნა პოსტი, რომლის თანახმადაც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რობინ დანიგენი ერთსქესიანთა ქორწინების პირდაპირი მხარდამჭერია და სძულს საქართველოს პატრიარქი, ქართული მართლმადიდებლური ტრადიციები და კონსერვატიულად განწყობილი ხალხი, რომლებიც, პროპაგანდისტის თქმით, საქართველოს მოსახლეობის 70%-ს წარმოადგენენ. პროპაგანდისტმა განმარტა, რომ აშშ-ს ელჩი „ქართულ ოცნებას“ ატერორებს და აიძულებს, დააკავონ „ალტ-ინფოს“ ლიდერები, მიიღონ ერთსქესიანთა ქორწინება და გამართონ ლგბტქი+ ღირსების მარში.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში პროპაგანდისტი ამბობდა, რომ მიუხედავად მმართველი პარტიის განცხადებებისა, თუ როგორ განსხვავდება ახალი ელჩი ყოფილი ელჩი კელი დეგნანისგან, ახლად დანიშნული რობინ დანიგენი მაინც საშიშროებას წარმოადგენს. პროპაგანდისტის თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ იქნება ელჩი, რადგან აშშ-ს პოლიტიკა და ინტერესები ყოველთვის პრობლემური იქნება საქართველოსთვის.

- მორიგმა პროპაგანდისტულმა წყარომ ყოფილი და ამჟამინდელი ელჩების მიერ გაკეთებული განცხადებები გაიხსენა, რომლებშიც ორივე მათგანი აღნიშნავდა იმ ფინანსურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელსაც აშშ წლების განმავლობაში უწევდა საქართველოს. პროპაგანდისტის შეფასებით, აშშ-ს ფინანსები მხოლოდ ვაშინგტონის ინტერესებს ემსახურება და ქართველი ხალხისთვის სარგებელი არ მოუტანია. ამასთანავე, ზემოაღნიშნული დახმარება ქვეყანას აზიანებდა ნარკოტიკებისა და გარყვნილების პროპაგანდით, ასევე საქართველოს მტრების, ანუ სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების, დაფინანსებით. ნარატივის მიხედვით, აშშ მიზნად ისახავს, საქართველო რუსეთთან ომში ჩაითრიოს.
- „ალტ-ინფო"/„კონსერვატიული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ქარდავა ირწმუნებოდა, რომ საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა ერთმხრივია, რადგან დასავლეთი საქართველოს თავისივე ინტერესებისთვის იყენებს. პროპაგანდისტი ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ამტკიცებდა იმ ფაქტით, რომ ქართველი ჯარისკაცები ერაყში, ავღანეთსა და 2008 წლის აგვისტოს ომში იბრძოდნენ, რაც, ნარატივის თანახმად, დასავლეთის მიერ, რუსეთის დასუსტების მიზნით, იყო წახალისებული.
- მორიგი პროპაგანდისტული ნარატივი მიუთითებს, რომ აშშ-სთვის საქართველოს კულტურა, ტრადიციები, განმანათლებლობა და ისტორია არ აინტერესებს; მეტიც, აშშ ყველაზე დიდი მტერია, რომელსაც საქართველო ოდესმე გამკლავებია, რადგან, გავლენის შესანარჩუნებლად, ამერიკელებმა გამიზნულად გამოიწვიეს საქართველო-რუსეთის ომს.
- „ალტ-ინფოს" ეთერში გაჟღერებული მორიგი არგუმენტის თანახმად, აშშ-ს ევროპის ფინანსურად დასუსტება სურს, რათა ეს უკანასკნელი სრულად დამოკიდებული გახდეს ვაშინგტონზე. აქედან გამომდინარე, საქართველომ ზურგი უნდა აქციოს ევროინტეგრაციის მიზანს.